

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

2016 წლის ¹⁴ ივნისის სხდომის

ოქმი № 27

ქ. მცხეთა. 14.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

დღის წესრიგი:

საკითხი: 1. მოქ. ლეილა კობაურის (პირადი № 06001007844) განცხადება (№259 13.06.16წ.) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ფრეზეთში მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.03.01.183.) დამისამართების შესახებ.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

საკითხი: 2. მოქ. მანანა კიკაბიძის (პირადი №60003009941) განცხადება (№261 14.06.16წ.) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მეგეში მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.11.07.169.) დამისამართების შესახებ.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

მოისმინეს პირველი საკითხი:

მოქ. ლეილა კობაურს (პირადი № 06001007844) სოფ. ფრეზეთში საკუთრებაში ერიცხება უძრავი ქონება, 1991 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი №1 შენობა-ნაგებობასთან ერთად (ს/კ 72.03.01.183.) და ითხოვს მის დამისამართებას. კომისიის დასკვნით მოქ. ლეილა კობაურის უძრავი ქონება მდებარეობს სოფ. ფრეზეთში, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში და მინიჭებული აქვს №248. „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ფრეზეთის დამისამართების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 დეკემბრის №203 განკარგულებისა და „დამისამართების კონცეფციის“ საფუძველზე, კომისიამ დაადგინა მოქ. ლეილა კობაურის (პირადი № 06001007844) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.03.01.183.) მისამართი:

მცხეთა, სოფ. ფრეზეთი, სახლი №248. ნაცვლად ძველი მისამართისა: მცხეთა, სოფ. ფრეზეთი, ნაკვეთი № 89.

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი მოქ. ლეილა კობაურის (პირადი № 06001007844) უძრავი ქონების (ს/კ 72.03.01.183.) დამისამართების შესახებ, შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მოსმინეს მეორე საკითხი:

მოქ. მანანა კიკაბიძეს (პირადი №60003009941) სოფ.ძეგვში საკუთრებაში ერიცხება უძრავი ქონება, 1000 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობასთან ერთად (ს/კ 72.11.07.169.) და ითხოვს მათ დამისამართებას. კომისიის დასკვნით მოქ. მანანა კიკაბიძის უძრავი ქონება მდებარეობს სოფ. ძეგვში, №23 ქუჩის მარჯვენა მხარეს რიგით მე-9. „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძეგვის დამისამართების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №89 განკარგულების, ძეგვის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ცნობისა (№ 47 14.06.16წ.) და „დამისამართების კონცეფციის“ საფუძველზე, კომისიამ დაადგინა მოქ. მანანა კიკაბიძის (პირადი №60003009941) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.11.07.169.) მისამართი:

მცხეთა, სოფ. ძეგვი, ქუჩა № 23, სახლი №17.

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი მოქ. მანანა კიკაბიძის (პირადი №60003009941) უძრავი ქონების (ს/კ 72.11.07.169.) დამისამართების შესახებ, შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარე: გოჩა ლაბაური

წევრები: დავით ჯალაბაძე

დავით პაპიაშვილი

მალხაზ ნოზაძე



გალინა ახსაბაძე

თეიმურაზ მირესაშვილი

თამაზ ფოლოდაშვილი

თამაზ მოძღვრიშვილი

